პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება № ------
2023 წლის ------- მაისი
ქ. ოზურგეთი

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 თებერვლის N10 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.თ“ ქვეპუნქტის, 61-ემუხლის მე-2 ნაწილისა, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მარტის N24 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 08 თებერვლის N10 განკარგულებაში და განკარგულებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით:

მუხლი 2. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.